პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 183 (3160) 20 1966 წ. სექტემბერი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

## თბილისელი ჭაბუკები პირველ ადგილზე

ლუგანსკი, 19 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). 400-ზე მეტმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის I და II ეტაპზე. ამათგან 8 უძლიერესმა კოლექტივმა საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა.

გუშინ, ლუგანსკში გაიმართა ჩემპიონატის ბოლო ორი მატჩი. თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდმა დაამარცხა ცსკა — 2:0 (ბურთები გაიტანეს: მე-15 წუთზე კვერიშვილმა, მე-60 წუთზე კობთლავამ) და გათამაშების ცხრილში I ადგილი დაიკავა. ზაპოროჟიეს „მეტალურგმა" ასევე ანგარიშით მოუგო ტაშკენტის „პახტაკორს".

ტურნირში ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (თბილისი), 2. „მეტალურგი" (ზაპოროჟიე), 3. „პახტაკორი" (ტაშკენტი), 4. ცსკა, 5. ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (მოსკოვი), 6. „დინამო" (თბილისი), 7. „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო), 8. „ალგა" (ფრუნზე).

სპეციალისტთა საერთო აღიარებით, თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლამ (მწვრთნელები საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი, მ. პირაევი და ო. ურთქმელიძე) გააზრებული და ტაქტიკურად სრულყოფილი თამაში აჩვენა. მან დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. აღსანიშნავია, რომ თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდი ზედიზედ 4 წელია ფინალურ ტურნირში მონაწილეობს. ეს კოლექტივის მაღალ სტაბილურობაზე მეტყველებს.



ამას წინათ თბილისის ზღვაზე გამართულ წყალზე მოთხილამურეთა საკავშირო ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდა საქართველოს „სახმშენის" საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომელი, ახალგაზრდა ინჟინერი ვ. ძაგანია. ტრამპლინიდან იგი 28 მეტრზე გადახტა და 5 მეტრით გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი. ამ შედეგით მან ჩემპიონატში III საპრიზო ადგილი და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. სურათზე: ვ. ძაგანია ხტომის დროს.

## პ. გორძემაშვილი — მესამე

შარშან პარიზში „კოლომბოს" სტადიონზე გაიმართა საფრანგეთისა და სსრ კავშირის მძლეოსან ვაჟთა პირველი ამხანაგური მატჩი. მაშინ სტუმრებმა იმარჯვეს და მასპინძლები იოლად დაამარცხეს — 120:92. ბუნებრივია, ფრანგებს რევანშის სურვილი არ ასვენებდათ და საპასუხო მატჩში გამარჯვებისთვის ემზადებოდნენ, მაგრამ კიევის ცენტრალურ სტადიონზე უპირატესობა ამჯერადაც საბჭოთა ათლეტების მხარეს იყო. მართალია, პირველსავე სახეობაში — 100 მეტრზე რბენაში კ. პიკემალმა (საფრანგეთი) გაიმარჯვა — 10,1 და ქინალამ ევროპული რეკორდიც დაამყარა (ქრონა ზურგქარი), მაგრამ შემდეგში მასპინძელთა უპირატესობა თანდათან გამოიკვეთა.

ათეულ ათასობით მაყურებელი მაინც გახდა ევროპული რეკორდის დაბადების მოწმე. ევროპის ჩემპიონმა რ. კლიმმა ურო 71,46 მეტრზე ტყორცნა, რაც სსრ კავშირის ძველ რეკორდს 44 სანტიმეტრით აღემატება.

და მაინც ტურნირზე ყველაზე საინტერესო იყო მ. ჟაზისა (საფრანგეთი) და ვ. კუდინსკის ორთაბრძოლა 5000 მეტრზე რბენაში. ფრანგმა გაიმარჯვა — 14.15,2, მაგრამ 3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში ევროპის ჩემპიონმა ვ. კუდინსკიმ დაამტკიცა, რომ იგი ვ. კუცისა და პ. ბოლოტნიკოვის ღირსეული მემკვიდრეა. შუბის ტყორცნა მოიგო ი. ლუსისმა (სსრ კავშირი) — 84,30; ჩვენი გუნდის მეორე წევრი პ. გორძემაშვილი III იყო — 76,20.

ესტაფეტაში 4×100 მეტრზე ფრანგების კვარტეტმა აჩვენა შესანიშნავი დრო — 39,2, რითაც ევროპის რეკორდი გაიმეორა. საბოლოოდ, სსრ კავშირის „სპორტის ღედოფლის" რაინდებმა 2-დღიანი ბრძოლა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 120,5:91,5.

აი, შეჯიბრებაში სხვა გამარჯვებულნი: რბენა 200 მეტრზე — კ. პიკემალი (საფრანგეთი) — 20,7; 400 მეტრი — ბ. სავჩუკი (სსრ კავშირი)—46,3; 800 მეტრი—ვ. მიხაილოვი (სსრ კავშირი) — 1.48,9; 1500 მეტრი — მ. ჟაზი (საფრანგეთი) — 3.51,3; 10.000 მეტრი — ლ. მიკიტენკო (სსრ კავშირი) — 28.54,6; 3000 მეტრი წინაღობებით — ა. კურიანი (სსრ კავშირი) — 8.55,0; 110 მ თარჯრბენი — მ. დიური (საფრანგეთი) — 13,8; 400 მ თარჯრბენი — ვ. ანისიმოვი (სსრ კავშირი) — 50,7; ესტაფეტა 4×400 მეტრზე — სსრ კავშირი — 3.10,2; სიგრძეზე ხტომა — ლ. ბარკოვსკი (სსრ კავშირი) — 782 სმ; სიმაღლეზე ხტომა — ვ. სკვორცოვი (სსრ კავშირი) — 213 სმ; სამხტომი — ა. ალიაბიევი (სსრ კავშირი) — 15,57; ჭოკით ხტომა — ი. ფელდი (სსრ კავშირი) — 500 სმ; ბადროს ტყორცნა — ვ. იარასი (სსრ კავშირი) — 57,80, ბირთვის კვრა — ი. გუშჩინი (სსრ კავშირი) — 18,80;

* * *





სურათებზე: მარჯვნივ — ვ. სკვორცოვი ასპარეზობის დროს. მარცხნივ — ე. გუშჩინი ბირთვს კრავს.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

## პოლტავის გზატკეცილზე

კიშინიოვი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). 17 სექტემბერს პოლტავის გზატკეცილის მეხუთე კილომეტრზე სტარტი მიეცა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილე ველოსიპედისტ ქალთა ჯგუფურ რბოლას 50 კილომეტრზე. სპორტსმენებს სტარტზევე დასაძლევი ჰქონდათ მოკლე, მაგრამ რთული აღმართი, რომელიც თითქმის ყველამ წარმატებით გაიარა. 6 კილომეტრის მერე მოულოდნელად დაეცა ლიდერი, რამაც სხვა მრბოლელებიც შეაფერხა. წაქცეულთა შორის „კოლმეურნის" ორი ველოსიპედისტი — გვოზდიკოვა და კუნდოროვაც იყვნენ. „საგზაო შემთხვევით" კარგად ისარგებლეს ჩამორჩენილებმა და რბოლის სათავეში მოექცნენ. გვოზდიკოვამ სასწრაფოდ შეაკეთა მანქანა, გამოედევნა წინწასულთ — ლატვიის „დაუგავას" გუნდის წევრებს, სპორტის ოსტატებს ანდერსონეს, ტირზინს, პელესა და პირველთანრიგოსან ხრიაბინას (საქართველოს „კოლმეურნე") და დაეწია კიდეც.

შუა დისტანციის მერე შეიქმნა ჯგუფი 20 კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის იყვნენ ლიდერები, მაგრამ მალე ისინი ისევ დანაწილდნენ, რის გამო ტრასის მეორე ნახევარზე ძირითად ჯგუფს რამდენიმე სპორტსმენი გაექცა. საბოლოოდ გამარჯვება ანდერსონეს დარჩა — 1:20.50, მეორე ადგილზე გავიდა მიხაილოვა (რსფსრ, „უროჟაი"), III იყო ბეკი (ბელორუსია, „უროჟაი"). ხრიავინა („კოლმეურნე") ფინიშთან მე-17 მივიდა, ხოლო მელნიკი („კოლმეურნე") — 29-ე, რის გამო გუნდმა VIII ადგილი დაისაკუთრა. ჩემპიონი გახდა რსფსრ-ს კოლექტივი.

ქალთა ასპარეზობის დამთავრების მერე, ამავე დისტანციაზე ჭაბუკები ასპარეზობდნენ. დასაწყისიდანვე დაწინაურდნენ ბელორუსიის, ყაზახეთის, ესტონეთის და უკრაინის ათლეტები. რბოლის ტონის მიმცემი იყო სპარტაკიადის ჩემპიონი, უკრაინელი ირლიცი. მაგრამ გამარჯვება სულ სხვამ მოიპოვა. ლიდერს ჯერ მორზიკმა (ლატვია) და ნასყიდაშვილმა (საქართველო) გაასწრეს, მერე ბელორუსიელმა ლისოვეცმა, რომელმაც გაიმარჯვა კიდეც. II იყო მისი თანაგუნდელი ბიასკო, III — ზაიკინი (ყაზახეთი). სამივემ ერთნაირი დრო (1:27.10) აჩვენა. 1 წამის მერე რბოლა დაამთავრა 16 სპორტსმენმა, რომელთა შორის ნასყიდაშვილიც იყო. საბოლოოდ მან მე-8 ადგილი დაიკავა. საქართველოს „კოლმეურნეს" გუნდის მეორე ველოსიპედისტმა ბორზილოვმა 29-ე ადგილი მოიპოვა, რის გამო კოლექტივი VIII ადგილზე აღმოჩნდა. გუნდური გამარჯვება ბელორუსიის ველოსიპედისტებს ხვდათ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ ლატვიელი ველოსიპედისტები. საქართველოს კოლექტივი VII ადგილზეა.

ვ. ბალდასაროვი.

## „ლოკომოტივის" გამარჯვება

ლენინაკანში გაიმართა სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის II ჯგუფის გუნდების მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივმა „შირაკმა" მიიღო თბილისის „ლოკომოტივი". სტუმრებმა შეხვედრა ალმაცლობით ჩაატარეს. ერთ-ერთი იერიშისას ახალკაცმა ბურთი დროულად მიაწოდა კარგ პოზიციაში მყოფ კაიშაურს, რომელმაც გაიტანა კიდეც გადამწყვეტი გოლი — 1:0.

◆ ბელგრადი, 19 სექტემბერი. იუგოსლავიის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში თავი ისახელა საბჭოთა სპორტსმენმა ა. დმიტრიევამ, რომელმაც ერთეულთა შორის პირველი ადგილი გაინაღდა. ფინალში მან მოუგო ჩეხოსლოვაკიელ პალმოვას — 6:2, 6:4. მეტრეველ-კოროტკოვის წყვილმა გადამწყვეტი მატჩი წააგო დარმონ (საფრანგეთი)–პიეტრანჯელისთან (იტალია) 4:6, 3:6. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო იუგოსლავიელი პილიჩი.

◆ სტოკჰოლმი, 19 სექტემბერი. შვეციის მძლეოსან ვაჟთა გუნდმა ანგარიშით 112:100 დაამარცხა დიდი ბრიტანეთის ნაკრები. შვეციელმა ბადროს მტყორცნელმა ჰაგლუნდმა აჩვენა 59 მეტრი და 26 სანტიმეტრი, ინგლისელმა მაკ-კაფერტისმა 5 კილომეტრი გაირბინა 13.47,2-ში.

◆ პრაღა, 19 სექტემბერი. გაზეთ „რუდე პრავოს" ჯილდოზე გამართული ტრადიციული კროსი მოიგო ცნობილმა ტუნისელმა სტაიერმა მ. გამუდიმ. მან 5-კილომეტრიან დისტანციის გავლას 16.41,2 მოანდომა.

## უზბეკეთის გუნდი — III ადგილზე

### ველოსპორტი

დამთავრდა იუგოსლავიის მრავალდღიანი ველორბოლა, რომელშიც ადგილობრივი სპორტსმენების გარდა მონაწილეობდნენ საფრანგეთის, პოლონეთის, გდრ-ის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა გუნდები. სსრ კავშირი ამ შეჯიბრებაში წარმოდგენილი იყო უზბეკეთის ნაკრებით. ბოლო ეტაპი ლუბლიანა — ზაგრები (149 კმ) მოიგო გდრ-ის წარმომადგენელმა ლ. ბორხელმა (3:24.36).

რბოლის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა იუგოსლაველი რ. კუბრიჩი (47:02,39). მომდევნო 2 ადგილიც იუგოსლაველებმა ც. ბილიჩმა და რ. ვალენჩიჩმა დაისაკუთრეს. საბჭოთა ველოსიპედისტი ი. პომინოვი საერთო ჩათვლაში VI ადგილზე გავიდა.

გუნდურ ჩათვლაშიც იუგოსლაველებმა გაიმარჯვეს. II ადგილი დაიკავა გდრ-მ, III — უზბეკეთის გუნდმა.

# ოქტომბრის 50 წლისთავს მიუძღვნეს

ახლახან დიდი სპორტული პაექრობა ჰქონდათ გორის რაიონის ფიზკულტურულ კოლექტივებს. სპორტის სხვადასხვა სახეობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდა 3 ათასამდე ჭაბუკი და ქალიშვილი. ეს ღონისძიება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა.

ფართო პროგრამით გამოვიდნენ ატენელი ფიზკულტურელები და რაიონის ჩემპიონობაც დაისაკუთრეს. II და III ადგილები გაიყვეს მეჯვრისხევის და ტყვიავის სპორტსმენებმა. ფეხბურთში ყველას აჯობა მეჯვრისხევის „ჩანჩქერმა". კალათბურთში ზედიზედ მესამედ მოიპოვა რაიონის პირველობა ხელთუბნის საშუალო სკოლის ვაჟთა გუნდმა, გოგონათა შორის კი ყველა ჩამოიტოვეს ზედულეთელმა კალათბურთელებმა.

განსაკუთრებით გაძნელდა ჩემპიონების გამოვლენა ფრენბურთში. სპორტის ამ სახეობაში რამდენიმე გუნდს ჰქონდა გამარჯვების შანსი, მაგრამ ბოლოს მაინც ტყვიაველმა ჭაბუკებმა და ზერტელმა ქალიშვილებმა იმარჯვეს. მძლეოსნობაში პირველი იყო ძევერის საკოლმეურნეო გუნდი.

შედარებით უინტერესო იყო შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ფიზკულტურის ბევრმა კოლექტივმა (ზერტის, დიცის, შინდისის, მეღვრეკისის) ამ სახეობაში საერთოდ არ გამოიყვანა გუნდი. ქიწნისის საბჭოთა მეურნეობის ფალავნებმა იოლად მოიპოვეს რაიონის სპორტკავშირის გარდამავალი თასი.

ასპარეზობამ ისიც გამოავლინა, რომ ზოგან დღემდე სათანადოდ არ ზრუნავენ სპორტის მასობრიობისა და ფიზკულტურულ კოლექტივებში სპორტის სხვადასხვა სახეობის დანერგვისათვის. მაგალითად, ზერტის ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. მაზანაშვილი პირველთანრიგოსანია ქართულ ჭიდაობაში, მაგრამ, რატომღაც, განსაკუთრებულ ყურადღებას მხოლოდ ფრენბურთს აქცევს. იგივე შეიძლება ითქვას მეჯვრისხეველ გ. გინტურზე. იგი ძალოსანია (მეორეთანრიგოსანი), მაგრამ ფიზკულტურულ კოლექტივში ძალოსანთა სექციის მუშაობა სწორედ მისი „წყალობით" ჩაიშალა.

ქების ღირსია 23 წლის ტყვიაველი ქალიშვილი ლ. მერაბიშვილი, რომელმაც, ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს უპასუხისმგებლობის მიუხედავად, თვითონ ითავა რაიონულ ასპარეზობაში მოჭიდავეთა გუნდის გამოყვანა. სხვათა შორის, ახლა ტყვიავის კულტურისა და დასვენების პარკში ყოველ კვირას ეწყობა ქართული ჭიდაობის საღამოები და ამ კეთილ საქმეშიც დამსახურება ლ. მერაბიშვილს მიუძღვის.

ი. თევდორაშვილი.

# სპარტაკიადის სტარტზე

**დაიწყო საქართველოს პროფსაბჭოს სპარტაკიადა, რომელიც შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს ეძღვნება. ფინალურ ტურნირებში პირველი ქულები ჩაიწერეს ფრენბურთელებმა, კალათბურთელებმა, ფეხბურთელებმა, მაგიდის ჩოგბურთელებმა და სხვა სახეობათა წარმომადგენლებმა.**







### ინვენტარი არ ჰყოფნიდათ

მძლეოსანთა ხალხმრავალ ასპარეზობაში შედეგები მაინცდამაინც სახარბიელო არ იყო. რუსთავის სტადიონის დირექციამ ვერ შეძლო შეჯიბრების სათანადო ინვენტარით უზრუნველყოფა, ხოლო მონაწილეთა უმეტესობა ტექნიკურად სუსტად მომზადებული აღმოჩნდა. მაგალითად, ქალთა შორის 800 მეტრზე რბენაში გამარჯვებულმა ა. ლებედევამ (ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირი) ამ მანძილის გარბენას 2.58,3 მოანდომა და გუნდს ვერაფერი არგო. მისმა თანაგუნდელმა მ. კვაჭაძემ კი 100 მეტრზე 13,7 აჩვენა.

I თანრიგის შედეგები ჰქონდათ მხოლოდ ვ. სევასტიანოვს (სპორტკლუბი „განთიადი"), რომელმაც 100 მეტრი 10,8 წამში გაირბინა, აგრეთვე, სიმაღლეზე მხტომელებს — ნ. საგანელიძეს (საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირი) — 195 სმ და რუსთაველ ვ. დენისენკოს — 190 სმ.

თავის შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდა სპორტის ოსტატი ქ. კახიშვილი (მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირი): ქალთა ბადროს ტყორცნაში მან მხოლოდ 44 მ აჩვენა.

### მწვრთნელის მონაწილეობითა და დირიჟორობით

ახლა იშვიათია, რომ მწვრთნელი თამაშობდეს კიდევაც, მაგრამ ამგვარ შემთხვევებს ჯერ კიდევ ვხვდებით. ასე იყო, მაგალითად, კალათბურთელთა ტურნირში. მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდის მწვრთნელი ნ. ლუზანი სპორტსმენის მოვალეობასაც ასრულებდა და ასპარეზობის დროს საქმიანი რჩევა-დარიგებით გუნდს კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კოლექტივთან შეხვედრაში გამარჯვება მოაპოვებინა — 55:51.

სხვა შეხვედრებში ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდმა დაამარცხა მანქანათმშენებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კოლექტივი — 48:41, სპორტკლუბ „განთიადმა" — მანქანათმშენებლები — 49:39. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ქალთა კოლექტივმა სძლია ელექტრომრეწველობის მუშაკებს — 44:16, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდმა კი — სპორტკლუბ „განთიადს" — 58:10. როგორც ვხედავთ, ქალთა გუნდების ძალები მეტად უთანაბროა, რის გამოც შეხვედრები უფერულად და უინტერესოდ მიმდინარეობს.

### ტაქტიკის მსხვერპლი

დიდხანს და დაძაბულად მიმდინარეობდა მეტალურგიული და ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ფრენბურთელ ქალთა გუნდების შეჯიბრება. მესამე, გადამწყვეტ პარტიაში მეტალურგებს მატჩის თავიანთ სასარგებლოდ დამთავრება შეეძლოთ, მაგრამ ისინი საკუთარი ტაქტიკის მსხვერპლნი გახდნენ. საქმე ის არის, რომ კოლექტივი მთელ იმედს ამყარებდა ს. სავენკოს გადამწყვეტ დარტყმებზე, რამაც ერთხანს სასურველი ნაყოფიც გამოიღო. მაგრამ შემდგომ, როცა მეტოქეებმა ამას ალღო აუღეს, ასპარეზობის ბედი შეტრიალდა. სავენკომ კი ტაქტიკის შეცვლა ვერა და ვერ მოახერხა და საბოლოოდ ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის სპორტსმენებმა გაიმარჯვეს — 2:1. მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის სპორტსმენებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მანქანათმშენებლებმა და ორ პარტიაში დამარცხდნენ — 4:15, 6:15. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა სპორტკლუბ „განთიადისა" და ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის პროფკავშირთა გუნდების ასპარეზობა. განთიადელებმა პირველი პარტია მოიგეს ანგარიშით 15:6, ხოლო მეორე — 15:4. „განთიადის" და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ქალთა გუნდების შეხვედრაში უპირატესობა განთიადელების მხარეს იყო — 2:0. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდმა მოუგო ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კოლექტივს — 2:1. ელექტრომრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ვაჟთა გუნდმა გადამწყვეტ პარტიაში სძლია მეტალურგებს — 2:1. მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის წარმომადგენლებმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს ქვანახშირის მრეწველობის პროფკავშირის კოლექტივი. სამშენებლო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირისა და ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კოლექტივების მატჩი პირველის გამარჯვებით დამთავრდა — 2:0.

### უშედეგო ბრძოლაში

ზესტაფონის „მეტალურგისა" და ტყიბულის „მეშახტის" ფეხბურთელთა გუნდები ამაოდ ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას. 90 წუთი ისე მიიწურა, რომ ანგარიში არ გახსნილა და მეტოქეებმა გათამაშების ცხრილში თითო ქულა ჩაიწერეს.

სპარტაკიადა გრძელდება.

ვ. ბუკია.

• • •

**ამ სურათებზე, რომლებიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ბ. ქვათაძემ გადაიღო, აღბეჭდილია სპარტაკიადის გახსნისა და მიმდინარეობის მომენტები.**

**ქვევით თქვენ ხედავთ თუ როგორ მხნედ მოაბიჯებენ სპორტსმენი გოგონები.** მარჯვნივ — **ფრენბურთელთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.** მარცხნივ — **ფეხბურთელთა შეხვედრა.**

# „ტორპედო" — ჩემპიონი

წყალბურთი

**ბათუმი,** 19 სექტემბერი **(ტელეფონით, ჩვენი კორ.).** „სპარტაკის" აუზში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა წყალბურთში პროფკავშირულ გუნდებს შორის. ბოლო ტურის მატჩები მწვავე ბრძოლებით აღინიშნა. ჩემპიონის სახელისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვის გუნდების — „ტორპედოსა" და „შრომითი რეზერვების" შეხვედრას. მატჩი დამთავრდა ფრედ — 7:7. „ტორპედომ" მოაგროვა 13 ქულა 14-დან და ჩემპიონობაც დაისაკუთრა. II ადგილზე დარჩა „შრომითი რეზერვები" (მოსკოვი) — 12 ქულა. III ადგილი მოიპოვა „ბალტიკამ" (ლენინგრადი) — 11. თბილისის „ბურევესტნიკმა" XIII ადგილი დაიკავა.

სხვა მატჩების ტექნიკური შედეგები ასეთია: „სპარტაკი" (ასტრახანი) — „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) 5:5, „ტრუდი" (მოსკოვის ოლქი) — „მეხნატი" (ტაშკენტი) 4:3, „ტრუდი" (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი" (მინსკი) 3:3, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ლოკომოტივი" (კიშინიოვი) 4:4, „ბურევესტნიკი" (ერევანი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 11:11.

ო. მურვანიძე.

# ახალი ამბები

## ჭადრაკი, შაში

● **პრაღა,** 18 სექტემბერი. **აქ დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების არმიელ მოჭადრაკეთა ჩემპიონატი, რომელშიც 7 ქვეყნის 3 დიდოსტატი და 12 ოსტატი გამოდიოდა. I-II ადგილები გაიყვეს ვ. ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) და ვ. უელიანდინოვმა (სსრ კავშირი) — 11-11. III ადგილზეა გელერი (სსრ კავშირი) — 10.**

● *ჰ ა ა გ ა, 18 სექტემბერი. აქ დაიწყო მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატის ზონალური ტურნირი.* **I-III** *ადგილებზე გასულნი ითამაშებენ საზონათშორისო ტურნირში. შეჯიბრებაში ჩაებნენ დიდოსტატები ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია), ი. დონერი (ჰოლანდია), გ. ტრინგოვი (ბულგარეთი), ი. ბილეკი (უნგრეთი), საერთაშორისო ოსტატები ჰ. პფლეგერი (გფრ), ა. ჰონფი (უნგრეთი), ლ. კავალეკი (ჩეხოსლოვაკია) და სხვ.* **I** *ტურის პარტიებიდან აღსანიშნავია ს. გლიგორიჩის ეფექტური გამარჯვება თანამემამულე დ. ველიმიროვიჩთან.*

● **ცინოვიცი** (გდრ), **18 სექტემბერი.** ზეგ აქ დაიწყება ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. მასში მონაწილეობს რამდენიმე ცნობილი მოჭადრაკე: დიდოსტატები ვ. ულმანი (გდრ), ფ. გეორგიუ (რუმინეთი), ვ. ანტოშინი (სსრ კავშირი), ოსტატები ვ. პიტჩი (გდრ), ი. ნეი (სსრ კავშირი) და სხვები. ტურნირი 8 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

● **მ ო ს კ ო ვ ი, 17 სექტემბერი.** დედაქალაქის საჭადრაკო ისტორიაში პირველად მოეწყო მოსკოვის პირველობა მიწერ-მოწერით თამაშში. ტურნირი წელიწადნახევარს გაგრძელდა. ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა ოსტატმა ი. მურეიმ.

● **ნალჩიკი, 18 სექტემბერი.** ლენინგრადელმა ოსტატმა ი. სპასკიამ მეორედ მოიხვეჭა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი შაშში. აქ ჩატარებულ საკავშირო ჩემპიონატში მან 11 ქულა მოაგროვა. II ადგილი წილად ხვდა ს. ოგოროდნიკოვას (10,5), III — რ. გაგარინას (10).

● **კ რ ა ს ნ ო დ ა რ ი, 18 სექტემბერი.** სსრ კავშირის ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატის აქაური ნახევარფინალიდან ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს საერთაშორისო ოსტატებმა ა. გიპსლისმა, ა. ლეინმა (I-II ადგილები, 11-11 ქულა 17-დან) და ე. გუფელდმა (III ადგილი, 10,5 ქულა).

● **ორიოლი, 18 სექტემბერი.** სსრ კავშირის ვაჟთა XXXIV საჭადრაკო ჩემპიონატის აქაურ ნახევარფინალში I-II ადგილები გაიყვეს დიდოსტატმა რ. ხოლმოვმა (სოჭი) და ოსტატმა ვ. სავონმა (ხარკოვი) — 11-11 ქულა 16-დან. III ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი [illegible] (ხარკოვი) — 10,5. სამივენი ფინალში ითამაშებენ.

# დიდი ფორუმის წინ

*23 სექტემბერს მოსკოვში დაიწყება სსრ კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში სპორტულ საზოგადოებებს შორის. შეჯიბრებაში გამოვლენ: „ტრუდი", „სპარტაკი", „ბურევესტნიკი", „დაუგავა", „ლოკომოტივი" და სხვ. ცნობილი მოჭადრაკეები ყველა კოლექტივშია. მაგალითად, „ტრუდში" გამოვლენ მ. ბოტვინიკი, ვ. კორჩნოი, ი. ავერბახი, ა. კოტოვი, ნ. კროგიუსი, ა. ლეინი, ა. კუშნირი და ვ. კოზლოვსკაია. ძლიერად გამოიყურებიან, აგრეთვე, „სპარტაკი" (ტ. პეტროსიანი, რ. ხოლმოვი, ვ. სიმაგინი, ა. სუეტინი) და „ბურევესტნიკი" (ვ. სმისლოვი, ლ. პოლუგაევსკი, ნ. ტაიმანოვი, ი. ბოლესლავსკი, ნ. გაფრინდაშვილი, ტ. ზატულოვსკაია, ვ. ტუკმაკოვი, ბ. გულკო).*

ამჟამად ყველა მეტი მონდომებით ემზადება ძნელი პირველობისთვის. მაგალითად, „ბურევესტნიკი" მოსკოვში ატარებს სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას, რომელსაც დიდოსტატი ი. ბოლესლავსკი ხელმძღვანელობს. ამ მეცადინეობებს ესწრება საქართველოს ჩემპიონი ც. კახაბრიშვილიც, რომელიც ტურნირში ითამაშებს. საქმე ისაა, რომ ნ. გაფრინდაშვილი და ტ. ზატულოვსკაია პირველობაში ყველა პარტიის თამაშს ვერ შეძლებენ, ვინაიდან მიემგზავრებიან გფრ-ში ქალთა III ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად. ამიტომ, სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ „ბურევესტნიკს" გუნდში მონაწილეთა შეცვლის უფლება მისცა.

# ფეხბურთი 1966

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 სექტემბრისთვის

„ა“ კლასი I ჯგუფი

ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 25 | 17 | 7 | 7 | 52—12 | 41 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 27 | 13 | 7 | 7 | 43—26 | 33 |
| ცსკა | 23 | 13 | 6 | 4 | 51—30 | 32 |
| ასკ (როსტოვი) | 25 | 14 | 2 | 9 | 40—37 | 30 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 23 | 11 | 7 | 5 | 33—27 | 29 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 23 | 8 | 12 | 3 | 24—16 | 28 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 25 | 10 | 7 | 8 | 32—21 | 27 |
| „დინამო“ (მინსკი) | 25 | 9 | 8 | 8 | 28—27 | 26 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 24 | 9 | 7 | 8 | 34—26 | 25 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 26 | 10 | 5 | 11 | 32—40 | 25 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 23 | 9 | 6 | 8 | 21—22 | 24 |
| „დინამო“ (თბილისი) | 24 | 7 | 9 | 8 | 26—25 | 23 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 24 | 9 | 4 | 11 | 24—30 | 22 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 26 | 6 | 10 | 10 | 23—30 | 22 |
| „არარატი“ (ერევანი) | 25 | 6 | 8 | 11 | 18—36 | 20 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 25 | 7 | 4 | 14 | 32—47 | 18 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 24 | 3 | 11 | 10 | 15—32 | 17 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 24 | 5 | 4 | 15 | 18—35 | 14 |
| ასკ (ოდესა) | 25 | 1 | 8 | 16 | 11—38 | 10 |

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 სექტემბრისთვის

„ა“ კლასი II ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 27 | 16 | 5 | 6 | 43—22 | 37 |
| „ყუბანი“ (კრასნოდარი) | 26 | 12 | 9 | 5 | 31—13 | 33 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 26 | 10 | 13 | 3 | 37—22 | 33 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 26 | 9 | 13 | 4 | 24—13 | 31 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 26 | 11 | 8 | 7 | 26—19 | 30 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 26 | 10 | 7 | 9 | 30—29 | 27 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 26 | 8 | 11 | 7 | 32—33 | 27 |
| „თერგი“ (გროზნო) | 27 | 8 | 11 | 8 | 21—25 | 27 |
| „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) | 26 | 9 | 8 | 9 | 28—28 | 26 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 24 | 9 | 7 | 8 | 35—25 | 25 |
| „როსტსელმაში“ (როსტოვი) | 26 | 7 | 10 | 9 | 30—31 | 24 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 27 | 8 | 8 | 11 | 21—27 | 24 |
| „სპარტაკი“ (ნალჩიკი) | 27 | 8 | 8 | 11 | 20—29 | 24 |
| „სპარტაკი“ (გომელი) | 25 | 5 | 12 | 9 | 12—33 | 22 |
| „ბალტიკა“ (კალინინგრადი) | 25 | 6 | 9 | 10 | 18—27 | 21 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 27 | 6 | 7 | 14 | 22—41 | 19 |
| „დინამო“ (ტალინი) | 26 | 4 | 6 | 16 | 16—39 | 14 |

გაიმართა „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდების მორიგი ტურის მატჩები. მოგვყავს შეხვედრათა ტექნიკური შედეგები:

„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) — „დინამო“ (ბათუმი) 0:0, „სპარტაკი“ (გომელი) — „თერგი“ (გროზნო) 0:0, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 1:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:3, „როსტსელმაში“ (როსტოვი) — „დინამო“ (ტალინი) 5:0, „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „რუბინი“ (ყაზანი) 1:0.

## ქალაქები, გოლები, ქულები

კვირას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

**„შახტიორი“ (დონეცკი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:0 (1:0).** ერთადერთმა ბურთმა, რომელიც დონეცკელმა ევსეენკომ თამაშის პირველსავე წუთზე გაიტანა, გამარჯვება „შახტიორს“ მოუტანა.

**„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 2:1 (1:0).** რკინიგზელთა კარში პირველი ბურთი მატჩის მე-2 წუთზე გავიდა (ვასილიევი). შესვენების შემდეგ იმავე ვასილიევმა ანგარიში ორამდე გაზარდა (მე-60 წ.). მოსკოველებმა ერთადერთი ბურთი 85-ე წუთზე გაიტანეს (კოროტკოვი).

**ასკ (ოდესა) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 0:2 (0:1).** პირველი ბურთი არმიელთა კარში თამაშის მე-2 წუთზე გავიდა (კორშუნოვი). 85-ე წუთზე დერიაბინმა მეორე ბურთი გაიტანა.

**„კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 0:0.** ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით ეს მატჩი ქ. უფაში ჩატარდა.

**„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (მინსკი) 1:4 (1:2).** ბურთები გაიტანეს მე-10 წუთზე მუსტიგინმა („დინამო“), მე-15 წუთზე ტოლეიკომ („დინამო“), 22-ე წუთზე ხაჟალიამ („ტორპედო“), 53-ე წუთზე კოლტუნოვმა („დინამო“) და 57-ე წუთზე ვასილიევმა („დინამო“). აღსანიშნავია, რომ მე-10 წუთზე ერთმანეთთან შეჯახების გამო ტრავმა მიიღეს კვახაძემ (იგი ანდღულაძემ შეცვალა) და წვერავამ (შეცვალა წავწავაძემ). II ნახევარში მსაჯმა მოედნიდან გააძევა ძოძუაშვილი და ლოსაბერიძე.

## ათი პრიზი

**საუკეთესო მეკარეს (პრიზი დააწესა ჟურნალ „ოგონიოკმა“ 1960 წელს):** მართალია, ლ. იაშინმა ჩემპიონატში მხოლოდ 1 მატჩი ჩაატარა, მაგრამ მისი ბრწყინვალე გამოსვლა მსოფლიო პირველობაზე საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი ჯილდოს მთავარი პრეტენდენტია. სახელოვან ფეხბურთელს კონკურენციას პირველ რიგში, ა. კავაზაშვილი (მოსკოვის „ტორპედო“) უწევს. ჯილდოს პრეტენდენტთა შორის არიან: ი. პშენიჩნიკოვი („პახტაკორი“), ე. რუდაკოვი (კიევის „დინამო“) და ვ. მასლაჩენკო („სპარტაკი“).

**გ. ფედოტოვის სახელობის:** პრიზს ორი მთავარი პრეტენდენტი ჰყავს, რომლებსაც მეტოქის კარში ყველაზე მეტი ბურთი აქვთ გატანილი. ესენი არიან კიევის „დინამო“ — 52 ბურთი და ცსკა — 51.

**დიდი ანგარიშით მოგებისთვის („ფუტბოლის“ პრიზი):** „დინამო“ (კიევი) — 7 მატჩი, „დინამო“ (მოსკოვი) და „ტორპედო“ (მოსკოვი) — 4-4, ცსკა — 3.

**საუკეთესო ბომბარდირს (გაზეთ „ტრუდის“ პრიზი):** ა. ბიშევეცი („დინამო“, კიევი) და ბ. კაზაკოვი (ცსკა) — 14-14, ნ. ოსიანინი („სპარტაკი“) — 13.

**დუბლიორების უძლიერეს კოლექტივს (სსრ კავშირის სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს პრიზი):** „დინამო“ (კიევი) — 34 ქულა, „დინამო“ (მინსკი) — 31, „არარატი“, „დინამო“ (მოსკოვი) და „დინამო“ (თბილისი) — 30-30, ცსკა — 29.

**ორი შემადგენლობით საუკეთესო შედეგისთვის (სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრიზი):** დღეისთვის ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობათა შედეგების ჯამში საუკეთესო მდგომარეობა აქვს კიევის „დინამოს“ — 75 ქულა. შემდეგ მოდიან: ცსკა — 61, „ტორპედო“ (მოსკოვი) — 58, ასკ (როსტოვი) — 55, „დინამო“ (მინსკი) — 55, „დინამო“ (მოსკოვი — 55.

**სამართლიანი თამაშისთვის (პრიზი დააწესა „სოვეტსკი სპორტმა“ 1958 წელს):** ჯილდოს ძირითადი პრეტენდენტია „ჩერნომორეცი“, რომლის ძირითად და დუბლშემადგენლობას ყველაზე ნაკლები გაფრთხილება და მოედნიდან გაძევება აქვს.

**საუკეთესო ნებისყოფისთვის („სოვეტსკაია როსიას“ პრიზი):** დასაწყისში წაგებული მატჩი ყველაზე მეტჯერ თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს შემდეგმა კოლექტივებმა: ასკ-მა (როსტოვი), „ზენიტმა“ და „სპარტაკმა“ 2-2 მატჩი.

**გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო სხვაობისთვის (უკრაინის სპორტულ ჟურნალ „სტარტის“ პრიზი):** გამარჯვებული ვლინდება „ა“ კლასის ორივე ჯგუფის გუნდებში. ჯილდოს მთავარი პრეტენდენტები არიან: „დინამო“ (კიევი) +40, ცსკა +21, „ჟალგირისი“ +21.

**ყველაზე აგრესიული სტუმრის (უკრაინის გაზეთ „კომსომოლსკოე ზნამიას“ პრიზი):** ჯილდოს მოპოვების ყველაზე კარგი შანსები აქვთ მოსკოვის „ტორპედოსა“ და ცსკა-ს.

## ბელგრადსა და ლვოვში

ბ ე ლ გ რ ა დ ი, 18 სექტემბერი. ამ ცოტა ხნის წინ, იუგოსლავიის ფეხბურთი პროფესიონალიზმის ლიანდაგზე გადავიდა; მაგრამ მისი სტატუსი, როგორც ადგილობრივი ჟურნალისტები აღნიშნავენ, ბოლომდე არ იყო მოფიქრებული. დებულების მიხედვით, ყოველ ფეხბურთელს, კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ, თამაში შეუძლია იქ, სადაც მოესურვება. ამიტომაც იუგოსლავიის წამყვანმა ოსტატებმა საზღვარგარეთის კლუბებს მიაშურეს.

ამით, რა თქმა უნდა, გამოკეთდა იუგოსლავიური კლუბების ფინანსური მდგომარეობა, მაგრამ გამოუცდელობის გამო არც ერთ კონტრაქტში არ იყო აღნიშნული, რომ მოთამაშეს საჭიროების შემთხვევაში იუგოსლავიის ნაკრებში თამაშის უფლება აქვს. სწორედ ამიტომ, გუშინწინდელ საერთაშორისო მატჩში ქვეყნის ნაკრები ისეთი გამოჩენილი ოსტატების გარეშე დარჩა, როგორიცაა: შოშკიჩი, დურკოვიჩი, იუსუფი, ვასოვიჩი, შეკულარაცი, კოვაჩევიჩი, სკობლარი და სხვ.

ერთი სიტყვით, სსრ კავშირის ნაკრებთან მატჩში იუგოსლაველებმა, ფაქტიურად, ახალი გუნდი გამოიყვანეს. უნდა ითქვას, რომ ჩვენი შემადგენლობაც საკმაოდ იყო გადახალისებული: პშენიჩნიკოვი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, აფონინი, დანილოვი, სიჭინავა (30-ე წუთის შემდეგ იგი მალოფეევმა შეცვალა), ვორონინი, მატვეევი, კრასნიცკი, ბანიშევსკი, კაზაკოვი.

ანგარიში მე-11 წუთზე კრასნიცკიმ გახსნა. მეორე ბურთი იუგოსლაველთა კარში 11-მეტრიანი საჯარიმოდან მატვეევმა გაიტანა. ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორი იყო მუშოვიჩი. შეხვედრა პაბჭოთა ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 2:1.

სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელის ნ. მოროზოვის აზრით, „იუგოსლაველებთან მატჩში თავი გამოიჩინეს პშენიჩნიკოვმა, აფონინმა, დანილოვმა, მატვეევმა და კაზაკოვმა.

გასულ შაბათს ლვოვში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ოლიმპიური გუნდების შეხვედრა. აქ უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო, რომლებმაც გაიმარჯვეს — 2:1. ორივე ბურთი ჩვენს კარში გაიტანა იუგოსლაველმა ჯარდიჩმა, ხოლო საპასუხო გოლი — მასლოვმა.

## ბ მატჩი

„ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის მატჩები ასეთი შედეგებით დამთავრდა: „დინამო“ (სოხუმი) — „უროჟაი“ (მაიკოპი) 2:1, „მაშინოსტროიტელი“ (პიატიგორსკი) — „ლერნაგორცი“ (კაფანი) 0:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „არაქსი“ (ერევანი) 3:1, „დინამო“ (მახაჩყალა) — „ლორი“ (კიროვაკანი) 1:0, „უროჟაი“ (დერბენტი) — „სევანი“ (ოქტემბერიანი) 4:1, „დილა“ (გორი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:0, „მეშახტე“ (ტყიბული) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 3:0, „სპარტაკი“ (კისლოვოდსკი) — „ურალანი“ (ელისტა) 3:0.

## მილიონთა ტურნირი ფინიშს უახლოვდება

დღეს ლანჩხუთში მატჩია

ფიზკულტურული კოლექტივების ფეხბურთელთა საკავშირო თასს სამართლიანად უწოდებენ მილიონთა ტურნირს. მაგრამ მოცემულ ეტაპზე საპატიო ჯილდოსთვის მხოლოდ 16 გუნდი იბრძვის. უკვე დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ: თასს ახალი მფლობელი გაუჩნდება. საქმე ისაა, რომ ლანჩხუთის „გურიამ“ მეთექვსმეტედფინალში დაამარცხა ჯილდოს შარშანდელი მფლობელი — ტამბოვის „სალუტი“.

დღეს, 20 სექტემბერს, „გურია“ საკუთარ მოედანზე მიიღებს გასული წლის თასის გათამაშების II პრიზიორს, ლვოვის გუნდს. როგორც ხედავთ, კენჭისყრა მიმდინარე ტურნირში ჩვენს ფეხბურთელებს არც ისე იოლი ჰქონდათ.

ამ მატჩის გარდა გაიმართება შემდეგი შეხვედრები: „ბოლშევიკი“ (კიევი) — „მეტალისტი“ (სევასტოპოლი), „კომსომოლეცი“ (ლენინგრადი) — „სალუტი“ (მურმანსკი), „სპუტნიკი“ (მინსკი) — „სტარტი“ (ტალინი), „სპუტნიკი“ (პოლტავა) — „მეტალურგი“ (კრასნი-სულინი). ზემოდასახელებული გუნდები სატურნირო ბადის ზედა ნახევარში იმყოფებიან, ამიტომ 2 ნახევარფინალისტი სწორედ მათ შორის გამოვლინდება.

ბადის ქვედა ნახევარში ლანჩხუთის „გურიისა“ და ლვოვის გუნდის გარდა იმყოფებიან: „ენერგია“ (მოსკოვი) — „კომეტა“ (მოსკოვი) — ლანჩხუთელთა წარმატების შემთხვევაში მათი უშუალო მეტოქეები მეოთხედფინალში, აგრეთვე „ენისეი“ (კრასნოიარსკი) — „ვოლგა“ (დუშანბე) და „ზვეზდა“ (ტაშკენტი) — „ალტაი“ (უსტ-კამენოგორსკი).

შეჯიბრების დებულების თანახმად, 1 ოქტომბრისთვის ცნობილი უნდა გახდეს ფინალური ტურნირის 4 მონაწილე. გადამწყვეტი ეტაპი ჩატარდება დნეპროპეტროვსკში 8-13 ოქტომბერს.

დასასრულს გაგახსენებთ თასის წინა 9 გათამაშებაში გამარჯვებულ კოლექტივებს: ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო (თბილისი), „დინამო“ III (მოსკოვი), „სპარტაკი“ II (მოსკოვი), „ულანოვეცი“ (ლენინგრადი), „სტარტი“ (ჩუგუევი), „სოკოლი“ (ტაშკენტი), „სტრელა“ (მოსკოვი), „ტრუდი“ (ბელაია კალიტვა), „სალუტი“ (ტამბოვი).

ამ დღეებში ბათუმში სტარტი მიეცემა „ა“ კლასის I ჯგუფის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო პირველობის II წრის პირველ ტურს. ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის გაცხოველებით ემზადებიან თბილისის დინამოელები.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე თქვენ სწორედ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის „დინამოს“ სპორტსმენებს ხედავთ ხმელეთსა და წყალში ვარჯიშისას.

ფოტო ა. ჩანტლაძისა.





# მხოლოდ 6 ქულით

აკადემიურ ნიჩბოსნობაში ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩვენი ქვეყნის ათლეტებმა სსრ კავშირის პირველობისთვის დაიწყეს სამზადისი და კვირას კიევში მატვეევის უბეში ჩაებნენ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში.

გუნდურ ჩათვლაში შესანიშნავად იასპარეზეს სპარტაკელებმა, რომლებმაც 209 ქულა მოაგროვეს და 6 ქულით აჯობეს მეორე პრიზიორს — „დინამოს" ნაკრებს. III ადგილზე გავიდა „ჟალგირისი" — 189 ქულა.

ოთხადგილიანი გასაშლელით ჩემპიონი გახდა მოსკოვის „სპარტაკის" კვარტეტი — 3.29,2; ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანით შეჯიბრება კი მოიგო ლენინგრადის „სპარტაკმა" — 3.32,4. ერთადგილიანით ტურნირში უდავო იყო ევროპის ჩემპიონის გ. კონსტანტინოვას (მოსკოვის „დინამო") უპირატესობა — 3.55,4. ორადგილიანი წყვილმოსასმელიანით ჩემპ[illegible] მოსკოვის „დინამოს" დუეტი — 3.36,2. მეტად დაძ[illegible] ადგილიანებით შეჯიბრება. მოსკოვის გუნდების — „სპარტაკისა" და „ტრუდის" ორთაბრძოლაში გაიმარჯვა „ტრუდმა".

ფეხბურთი

## ჩემპიონატები. მატჩები. ლიდერები

# სარეკორდო ტური

ინგლისის ჩემპიონატის VIII ტური სარეკორდო გამოდგა: 11 მატჩში გატანილ იქნა 44 გოლი. ბირმინგემში „ასტონ ვილასა" და ლონდონის „ჩელსის" შეხვედრაში ლონდონელმა ტამბლინგმა ხუთჯერ აიღო მასპინძელთა კარი. გაიმარჯვა „ჩელსიმ" — 6:2.

ლივერპულში ადგილობრივი „ევერტონისა" და „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 5:4. ლივერპულელთა 2 გოლის ავტორია ბოლი, რომელიც ჟურნალისტებმა მატჩის გმირად აღიარეს.

უინტერესო გამოდგა „მანჩესტერ იუნაიტედისა" და I ლიგის ახალბედა „მანჩესტერ სიტის" ორთაბრძოლა. ერთადერთმა ბურთმა, რომელიც შოტლანდიელმა ლოუმ გაიტანა, გამარჯვება „იუნაიტედს" მოუტანა.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „არსენალი" — „ბლეკპული" 1:1, „ბერნლი" — „ტოტენჰემ ჰოტსპური" 2:2, „ფულჰემი" — „ლიდს იუნაიტედი" 2:2, „ნოტინჰემ ფორესტი" — „ნიუკასლ იუნაიტედი" 3:0, „შეფილდ უენსდეი" — „ვესტ ჰემ იუნაიტედი" 0:2, „საუთჰემპტონი" — „ლივერპული" 1:2, „სტოკ-სიტი" — „შეფილდ იუნაიტედი" 3:0, „სანდერლენდი" — „ლესტერ სიტი" 2:3.

(საქ. ინფ.).

# „ინტერის" სტარტი

გასულ კვირას დაიწყო იტალიის პირველობა. ქვეყნის ჩემპიონი — მილანის „ინტერნაციონალე" გასვლით მატჩში შეხვდა „ფოჯას". „ინტერის" შემადგენლობაში თამაშობდნენ: სარტი, ბურგნიჩი, ფაკეტი, ბედინი, გუარნერი, პიკი, დომენგინი, მაცოლა, ვინიჩიო, სუარესი, კორსო. მილანელებმა არ უღალატეს ნაცად პრაქტიკას: ისინი იშვიათად, მაგრამ სახიფათოდ უტევდნენ. და აი, მე-18 წუთზე მაცოლამ გახსნა ანგარიში, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ მანვე სუარესის გადაცემის წყალობით ანგარიში ორამდე გაზარდა. 63-ე წუთზე „ფოჯას" კარში მესამე გოლი გავიდა (სუარესი — ვინიჩიო). მატჩის დამთავრებას 5 წუთი აკლდა, როცა მაცოლამ მეოთხედ შეარხია მეტოქის კარის ბადე. გამარჯვების მიუხედავად, „ინტერის" თამაშმა სპეციალისტებზე სასიამოვნო შთაბეჭდილება ვერ დატოვა, ვინაიდან მცველები ბევრ შეცდომას უშვებდნენ. მიმომხილველთა აზრით, „ინტერმა" კი არ მოიგო მატჩი, არამედ იგი „ფოჯას" მცველებმა წააგეს.

„ფიორენტინა" — „ლაციოს" შეხვედრაში შვედმა ჰამრინმა 3 ბურთი გაიტანა. გაიმარჯვა „ფიორენტინამ" — 5:1.

რომში „სტადიო ოლიმპიკოზე" ერთმანეთს შეხვდნენ „რომა" და „ბრეშია". ერთადერთმა ბურთმა, რომელიც ბარიზონმა მატჩის მიწურულში გაიტანა, შეხვედრის ბედი „რომას" სასარგებლოდ გადაწყვიტა.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „მანტოვა" — „ბოლონია" 1:1, „ნაპოლი" — „ლანეროსი" 1:0, „ატალანტა" — „იუვენტუსი" 0:2, „მილანი" — „ვენეცია" 2:1, „ლეკო" — „კალიარი" 0:1, „ტორინო" — „სპალი" 2:1.

(საქ. ინფ.).

## ჩემპიონმა მოუგო თასის მფლობელს

შოტლანდიის პირველობის II ტურში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები: ქვეყნის ჩემპიონი „სელტიკი" და თასის მფლობელი „გლაზგო რეინჯერსი". გაიმარჯვა „სელტიკმა" — 2:0. ბურთები გაიტანეს ოულდმა და მერდოკმა. „სელტიკს" 4 ქულა აქვს 4 შესაძლებლიდან.

(საქ. ინფ.).

# ა. რამსეიმ შეადგინა ახალი გუნდი

ინგლისის საფეხბურთო ლიგის ნაკრები (ფაქტიურად, ეროვნული ნაკრები) ერთი კვირის შემდეგ შეხვდება ირლანდიის ეროვნულ გუნდს. ინგლისელთა მწვრთნელმა ა. რამსეიმ დაასახელა ფეხბურთელები, რომლებიც ამ მატჩში თავიანთი ქვეყნის ნაკრების ღირსებას დაიცავენ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს იქნება მსოფლიო ჩემპიონის პირველი საერთაშორისო შეხვედრა.

აი, როგორ გამოიყურება რამსეის გუნდი: ბონეტი („ჩელსი"), კოენი („ფულჰემი"), ვილსონი („ევერტონი"), პიტერსი („ვესტ ჰემი"), ჯ. ჩარლტონი, ჰანტერი (ორივენი — „ლიდს იუნაიტედი"), კალაჰანი („ლივერპული"), გრივსი („ტოტენჰემ ჰოტსპური"), ჰერსტი („ვესტ ჰემი"), ისტჰემი („სტოკ-სიტი"), კონელი („მანჩესტერ იუნაიტედი").

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ირლანდიის გუნდთან მატჩში რამსეი თავის საყვარელ სისტემას მიმართავს. თავდამსხმელთა ფუნქციებს შეასრულებენ გრივსი, ჰერსტი და კონელი. როგორც ხედავთ, რამსეის მინდორზე გამოჰყავს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის მხოლოდ 5 მონაწილე: კოენი, ვილსონი, ჯ. ჩარლტონი, პიტერსი და ჰერსტი.

(საქ. ინფ.).

# „ინტერპრეს-66"



მოსკოვში განზრახული გამოფენის — „ინტერპრეს-66"-ის ერთ-ერთი ექსპონატი: ლ. პიკუსის (სსრ კავშირი) ნამუშევარი, რომლის სახელწოდებაა „მომთვინიერებელი".

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.





ხელმოწერა შეუზღუდავია და მიიღება „სოიუზპეჩატის" ყველა განყოფილებაში.

ხელმოწერის ფასია: 1 თვით — 65 კაპ., 3 თვით — 1 მან. 95 კაპ., 6 თვით — 3 მან. 90 კაპ., 12 თვით — 7 მან. 80 კაპ.


## თბილისი სპორტულ ბანაკი

ფეხბურთი. „დინამოს სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. „დინამო" (თბილისი) — „არარატი" (ერევანი). 21 სექტემბერს — დუბლშემადგენლობანი. 22 სექტემბერს — ძირითადი შემადგენლობანი. მატჩების დასაწყისი 18 ს. ბილეთების წინასწარი გაყიდვა იწარმოებს „დინამოს" სტადიონის სალაროებში, 20 და 21 სექტემბერს აბონემენტებზე — 12 საათიდან 18 საათამდე, ხოლო საერთო გაყიდვა — 22-ში 10 საათიდან.

ჭადრაკი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 21 სექტემბერი-2 ოქტომბერი. თბილისის პირველობის ნახევარფინალები. ხვალ — V ტური. დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 5 უე 01781